პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 234 (9901) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ახლოვდება სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში, რომელსაც, როგორც ცნობილია, თბილისი უმასპინძლებს 17-21 დეკემბერს. სპორტის სასახლეში სარეკონსტრუქციო სამუშაოები თითქმის დასრულდა. ახლა მიმდინარეობს ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებული სამზადისი — ეწყობა პრესცენტრი, პრესლოჟა, პრესბარი, სპორტსმენთა და მწვრთნელთა დასასვენებელი ოთახები, საექიმო კაბინეტი, სასახლეში იმუშავებს ფოსტა და ტელეგრაფი.

## ევროპის საკლუბო ტურნირებზე

მოულოდნელი შედეგით აღინიშნა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში („ბ“ ჯგუფი) კაუნასის „ჟალგირისის“ მეტოქის იუგოსლავიის „ციბონასა“ და დასავლეთგერმანიის „სტეინერის“ შეხვედრა, რომელიც ზაგრებში ჩატარდა. სტუმრებმა სძლიეს აღიარებულ მეტოქეს — 80:79 (46:39). მასპინძელთაგან გამოირჩეოდა ცვეტიჩანინი, რომელმაც თავის გუნდს 29 ქულა მოუტანა, გამარჯვებულთა შორის კი საუკეთესო იყო რეუსი — 22 ქულა.

ახლა, [illegible] თითო გამარჯვებით [illegible] „ჟალგირისი“ და „სტეინერი“.

„ა“ ჯგუფის შეხვედრათა [illegible] ეგები: [illegible] „[illegible]“ — საფრანგეთის „მალე“ 69:61 (32:37), იტალიის „შნაიდერო“ — ისრაელის „ხაპოელი“ 105:99 (62:35).

რონკეტის თასის გათამაშებაში („ა“ ჯგუფი) მილანის ბფ-იმ დაამარცხა ესპანეთის „ტოლიდოს“ ქალთა გუნდი — 75:55 (31:36).

**საბჭოთა** ჩოგბურთელმა ქალებმა მელბურნში, სადაც მიმდინარეობს ფედერაციის თასის გათამაშება (იგი არაოფიციალური მსოფლიო პირველობაცაა), მორიგ ეტაპზე სძლიეს ავსტრიის გუნდს — 2:1.

დასაწყისში დაწინაურდნენ ავსტრიელები — ლარისა სავჩენკომ ხეიდი სპრუნგთან შეხვედრა დათმო. ასპარეზობაზე პირველ ნომრად განთესილმა ნატალია ზვერევამ კი სძლია იუდიტ ვაისნერს — 6:3, 6:3 და გაათანაბრა ანგარიში. მატჩის ბედი წყვილთა პაექრობაში გადაწყდა. სავჩენკომ და ზვერევამ დამაჯერებლად (6:1, 6:1) დაჯაბნეს სპრუნგ-ვაისნერის დუეტი და განაგრძობენ ასპარეზობას. მათი მომდევნო მეტოქეები ესპანელი ჩოგბურთელები იქნებიან.

### ტელეტაიპი - მეთოხველი

**რომი.** იტალიის სამთო კურორტ სესტრიერის სლალომის ტრასებზე გამართულ მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე საუკეთესო შედეგით (1.47,31) დაამთავრა ასპარეზობა 1985-86 წლების თასების მფლობელმა, ლუქსემბურგელმა მოთხილამურემ მარკ ჟირარდელიმ. საკმაოდ მოკრძალებული მაჩვენებლები აქვთ საბჭოთა სამთო-მოთხილამურეებს. კამჩატსკის-პეტროპავლოვსკელი ს. პეტრიკი ფინიშზე მხოლოდ 47-ე იყო, კიროვსკელი ლ. მელნიკოვი 52-ე.

სეულის ოლიმპიადის პრიზიორები

# გიორგი თენაძე

71 კილოგრამი ძიუდოში, იმთავითვე, საქართველოს „მოჭიდავეთა წონად“ ითვლებოდა. ჩვენი რესპუბლიკის ათლეტებს ამ წონაში საკავშირო პირველობები, საერთაშორისო ტურნირები და ოფიციალური ჩემპიონატები აქვთ მოგებული. მაგრამ როცა სეულის ოლიმპიადისთვის კანდიდატთა შერჩევა დაიწყო, ნაკრების მწვრთნელებს ბევრი საზრუნავი და საფიქრალი გაუჩნდათ. ამ პრობლემებისა და ოლიმპიური ტურნირის პერიპეტიების შესახებ ჩვენ კორესპონდენტს ესაუბრა სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი შოთა ხაბარელი.



გიორგი თენაძე.

**◉ მაგრამ 71 კილოგრამ წონით კატეგორიაში, როგორც გვახსოვს, საქართველოს მოჭიდავეები მუდამ მოწინავეთა პოზიციებზე იდგნენ.**

— მართალი ბრძანდებით. ასეთი მდგომარეობა იყო წარსულში, მერე კი შანსები ერთგვარად გათანაბრდა და ოლიმპიური ნაკრებისთვის ღირსეული კანდიდატის შერჩევას საკმარისი დრო დასჭირდა.

**◉ მაინც ვინ იყვნენ ჩვენი თანამემამულის კონკურენტები ამ ბრძოლაში?**

— ამ წონაში, დასამალი რაა, კარგა ხანს არ გვყავდა ფავორიტი. ევროპის ბოლო სამ ჩემპიონატში საბჭოთა ათლეტთაგან პრიზიორთა სამეულში ვერავინ მოხვდა. 1986 წელს კონტინენტის ჩემპიონის სახელი უნგრელმა ჰაიტოშმა დაისაკუთრა, ერთი წლის შემდეგ პოლონელმა ბლახმა, შარშან კი ოქროს მედალი ესპანელ რუისს ერგო. იყვნენ სხვა ძლიერი მოჭიდავეებიც (მაგალითად, გდრ-ის წარმომადგენელი ლოლი), რომლებსაც ჩვენი ათლეტები ვერაფერს უხერხებდნენ. ყველაფერმა ამან, ცხადია, ერთი ორად გაართულა ნაკრებისთვის კანდიდატის შერჩევის საქმე.

**◉ როდის და რა პირობებში ჩაირიცხა გიორგი თენაძე ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში?**

— ნაკრების კანდიდატთა შორის ერთადერთი ღირსეული მოჭიდავის შერჩევა საკმაოდ რთული და პასუხსაგები საქმეა. განსაკუთრებით მაშინ, როცა არ ჩანს გამოკვეთილი ლიდერი და პრეტენდენტთა ღირსებებს, მათ დადებით და უარყოფით თვისებებს მისხალ-მისხალ აანალიზებენ.

**◉ და მაინც არჩევანი გიორგი თენაძეზე შეჩერდა. რატომ?**

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იგორ შკარინი ევროპის პირველობაზე ცუდად გამოვიდა — ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და

იხ. მე-4 გვ.

# მჯერა საღი აზრის გამარჯვებისა...

**ბოლო** დღეებში მიმდინარე პროცესებმა რესპუბლიკის არც ერთი მკვიდრი არ დატოვა აუღელვებელი. ღელავენ ქართველები, საქართველოში მცხოვრები სხვა ერებიც, რომლებმაც საუკუნეები გამოიარეს ქართველ ხალხთან ერთად. ვღელავთ ჩვენც, საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომელთაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვაკისრია ერის ჯანმრთელობისა და ავტორიტეტის დაცვაში, რომელთაც არაერთხელ გვისახელებია სამშობლო სპორტულ სარბიელზე. დღეს, როდესაც ემოციები შედარებით დაცხრა, თითოეული ჩვენგანი მოვალეა ღრმად ჩაიხედოს შექმნილ ისტორიულ ვითარებაში, გააანალიზოს მოვლენები, დასახოს რეალური მიზნები და ერთიანი მოქმედებით მიაღწიოს კიდეც მათ განხორციელებას. ვფიქრობ, ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია, ეროვნული და ხალხთა მეგობრობის ინტერესები. დარწმუნებული ვარ, გონიერება „გზას თართოს“ მხოლოდ საღ აზრს მისცემს.

მე კი ამავე წერილში შევეცდები გამოვხატო ჩემი აზრი და პოზიცია. ვიტყვი, რომ განუწყვეტლივ ვადევნებდი თვალყურს მოვლენებს, ვიყავი მიწვეული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად ჯუმბერ პატიაშვილთან შეხვედრაზე, სადაც, როგორც არასდროს, ვიგრძენი საერთო გულისტკივილი შექმნილი სიტუაციის გამო. შემდეგ შევხვდი არაფორმალური გაერთიანების ერთ-ერთ ლიდერს, ხშირად ვსაუბრობდი ამ ყველასთვის საინტერესო თემაზე ნაცნობ-მეგობრებთან, ვესწრებოდი მიტინგებს. სწორედ ამის გამო ვაძლევ თავს უფლებას ჩემი აზრი გაგიზიაროთ.

ჯერ ის მინდა ვთქვა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში მწვანე გზა მიეცა საჯაროობას. ამის შედეგად გაჩნდა ზოგიერთი ისეთი აზრიც, რაც დღესდღეობით მიუღებელია სოციალიზმის სასიკეთოდ გამოცხადებული გარდაქმნის პოლიტიკისათვის.

მე, როგორც ყველა ქართველ კაცს, რომელიც საქართველოს ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, არ შემიძლია არ აღვნიშნო ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების, რესპუბლიკისა და ქართველი საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე ყურადღების გამახვილების საქმეში სტუდენტი ახალგაზრდობის წვლილი (ტრანსკავკასიის რკინიგზა, დავითგარეჯა, ქართული ენის პრობლემები, კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტის მიუღებელი მუხლები და ა. შ.), მაგრამ ამასთან არ შემიძლია არ აღვნიშნო ზოგიერთი არაფორმალური გაერთიანების, ჩემი აზრით, გაუმართლებელი და მიუღებელი პოზიციები. პირველ ყოვლისა, არავის უნდა გამორჩეს მხედველობიდან, რომ ხმამაღლა ლაპარაკის უფლება ისევ და ისევ კომუნისტურმა პარტიამ და კონკრეტულად მისმა ლიდერმა მ. გორბაჩოვმა მოგვცეს და. აქედან გამომდინარე, გმირად არ უნდა მოგვაჩვენოს საკუთარი თავი.

ცოტა მაინც უნდა დავფიქრდეთ, როცა საქართველოს გამოყოფაზე ვლაპარაკობთ, რითაც, ჩემი ღრმა რწმენით, პირდაპირ დარტყმას ვაყენებთ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ დუნედ მიმდინარე სასიკეთო ძვრებს და მ. გორბაჩოვის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს ვაძლევთ საბაბს განაცხადონ: ხედავთ, გარდაქმნა სსრ კავშირის დაშლის სავალალო შედეგებით იწყებაო.

ჩემი აზრით, უდიდეს წინააღმდეგობაში ვვარდებით, როდესაც ახალ მიუღებელ ლოზუნგებს ვაყენებთ და ამ დროს გვავიწყდება ირანსა და თურქეთს შორის ჯერ კიდევ 1555 წელს დადებული ხელშეკრულება საქართველოს ერთმანეთში განაწილების თაობაზე. ვივიწყებთ, რომ ეს ხელშეკრულება მათ დღესაც ახსოვთ და ამის დასტური იყო ირანის მიერ საქართველოს დედაქალაქად თეირანის გამოცხადება, რის შესახებაც ცნობა ამ ორი წლის წინათ გამოქვეყნდა.

იხ. მე-2 გვ.

### მაგნიტური დღეები დეკემბერში

**სსრ კავშირის** მეცნიერებათა აკადემიის ნოვოსიბირსკის კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის პროგნოზით გეოფიზიკური ე. წ. მაგნიტური დღეები მოსალოდნელია 9, 15, 22, 24 და 30 დეკემბერს.

## გიწვევთ მინიფეხბურთი



**მინიფეხბურთის მოყვარულებს შაბათს საინტერესო მატჩები ელით — მთავრდება თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზის გათამაშება ქალაქის უბნებს შორის.**

**„ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსის დარბაზში III ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდებიან „ვერისა“ და „ისნის“ უბნების გუნდები. მატჩი დაიწყება 16 საათზე.**

**იმავე დღეს 17 საათზე მოედანზე გამოვლენ „საბურთალო-I“ და ოქროსუბნის გუნდები. ეს მატჩი გამოავლენს პრიზის მფლობელს და დაასახელებს რესპუბლიკური ფინალური ასპარეზობის მონაწილე კოლექტივს.**



## შაბათს...

**10 დეკემბერს, თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლე (კიროვის პარკი) კვლავ უმასპინძლებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების შეჯიბრებას. ერთმანეთს ხვდებიან:**

**კაჭრეთი (გურჯაანი) — თემქა (თბილისი); ზემო ქედი (წითელი წყარო) — ქ. ბათუმი; გლდანის უბანი (თბილისი) — ქ. ქუთაისი.**

**შეჯიბრება დაიწყება 18 საათზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მჯერა საღი აზრის გამარჯვებისა...

(დასასრული)

ვივიწყებთ, რომ მეფე ერეკლეს ერთმორწმუნე რუსეთთან ქართველი ხალხის სახელით დადებული ტრაქტატით სამშობლოსათვის არ უღალატია. „ახლა სხვა დროას" ძახილით ვუპასუხებთ ამ კითხვებს და გვავიწყდება ირან-ერაყის უაზრო ომი, აზერბაიჯანში ფეხმოკიდებული ლოზუნგები ირანთან შეერთების თაობაზე, მუსულმანური სამყაროს შინაგანი აგრესიულობა. დავით აღმაშენებლის დიდმეფობის პერიოდს ვიშველიებთ და იმას კი არ ვამბოთ, გადაწყვეტილების მიღებამდე როგორი დადინჯებით აანალიზებდა იგი ქვეყნის გარეთ თუ შიგნით მიმდინარე პროცესებს, გადამწყვეტი ნაბიჯისათვის როგორ არჩევდა შესაბამის მომენტს.

დაფიქრება გვმართებს, როდესაც ერთ წუთს ხელისუფლებას ვაკრიტიკებთ სასურველის რეალობად გასაღების მცდელობისათვის და მეორე წუთს იმასვე ჩვენვე ვიმეორებთ;. გავიხსენოთ 29 ნოემბერს მიტინგზე წარმოთქმული ფრაზა კრემლის უკან დახევის, აქციის მომწყობთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ გორბაჩოვის მიმართვის თაობაზე. გვახსოვს, რა ოვაციები მოჰყვა ამ განცხადებას. სინამდვილეში ამ საოცრად გულთბილ მიმართვაში გარდაქმნის პოლიტიკის ჯანსაღად მხარდაჭერისაკენ მოწოდების გარდა არ ყოფილა აქციის მომწყობთა სამი კონკრეტული მოთხოვნიდან თუნდაც ერთის დაკმაყოფილების დასტური. რაში დაჭირდათ იმ დღეს მიტინგზე აქციის მოთავეებს ასეთი განცხადების გაკეთება? აქციის გამარჯვების ილუზიის შექმნისთვის ხომ არ იყო ეს გათვალისწინებული?

დაფიქრება გვმართებს, როდესაც ჯვრითა და სანთლით ხელში ჰუმანურობას ვქადაგებთ და ამასთან ხალხს სისხლის გაღებისათვის მზადყოფნისაკენ მოვუწოდებთ; გოგონებსაც ვრთავთ ნებას, მონაწილეობა მიიღონ შიმშილობის აქციაში და ამით მათი დედობის შესაძლებლობას ეჭვქვეშ ვაყენებთ; რესპუბლიკაში მცხოვრებ ერთა ძმობაზე ვლაპარაკობთ და ამასთან ვაცხადებთ, რომ საქართველო უპირველესად ქართველებისაა და ყველა არაქართული სკოლა უნდა დაიხუროს, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამიზნულ „ეკოლოგიურ გენოციდზე" ვამახვილებთ ყურადღებას და ჩერნობილის, არალის, ბაიკალის, შავი და ბალტიის ზღვების, ვოლგა-ჩოგრაის არხის, ლენინგრადის, მოსკოვისა თუ სხვათა მაგალითებზე ობიექტურად არსებული საერთო საკავშირო ეკოლოგიური პრობლემების ხსენებას თავს ვარიდებთ. თავს ვიტყუებთ და ყოველგვარი ანალიზის გარეშე ვაცხადებთ, რომ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის თურმე ჭიათურის მარგანეციც საკმარისი ყოფილა. უკაცრავად, მაგრამ ჩვენ ხომ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არა ვართ.

დაფიქრებაა საჭირო, როდესაც ერთ წუთში დემოკრატიის, აზრთა სხვადასხვაობის არსებობის აუცილებლობას ქადაგებ და მეორე წუთში კატეგორიულად უარყოფ შენს მიერვე „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ" შემოთავაზებული, დიდად პატივსაცემი ადამიანის აკაკი ბაქრაძის აზრს. მეტიც, ილია ჭავჭავაძის ნათელი იდეების სახელით ლაპარაკობ და ამასთან საქვეყნოდ აცხადებ: თვით დიდი ილიაც რომ ადგეს და განსხვავებული რჩევა მოგვცეს, პოზიციას არ შევიცვლითო! რა არის ეს? ხომ არ არის აქ მცდელობა ჭეშმარიტებად მხოლოდ საკუთარ წისქვილზე წყლის დამსხმელი აზრის აღიარებისა? რამდენად შეესაბამება ეს დემოკრატიის, საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის იდეას? ხალხში უკვე მოიკიდა ფეხი აზრმა, რომ ზოგიერთი არაფორმალური გაერთიანების წარმომადგენლები არ იზიარებენ ქართველი ინტელიგენციისა და სხვათა მოსაზრებებს, რადგან ეშინიათ მათთვის უმნიშვნელოვანესის — მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში „პოლიტიკური ლიდერის" როლის დაკარგვისა, მომავალ, მათ მიერვე გათვალისწინებულ ახალ ხელისუფლებაში „სხვათა" მიერ „პორტფელის" მოსალოდნელი „წართმევისა". ზოგიერთი ფიქრობს, რომ თურმე გარდაქმნა, ერთ დროს შევიწროვებულ, „სხვანაირად" მოაზროვნეებს დღეს აზრის ხმამაღალი გამოთქმის საშუალება რომ მისცა, ძირს უთხრის პოლიტიკური პლატფორმის უმნიშვნელოვანეს ბურჯებს და ამის გამო გამწარებით ცდილობენ გარდაქმნის სიკეთე თავის თავზე მიიწერონ.

მე არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოში არიან ადამიანები, რომელთაც საერო საქმისათვის არ შეუძლიათ პირადი ამბიციების დათმობა. მაგრამ რა ვუყოთ ეჭვს, ეჭვს, რომელიც ჩნდება ერთპიროვნული აზრის დამკვიდრების მცდელობისას, სახალხო ფრონტის, ამ ფაქტობრივად ოპოზიციური ორგანიზაციის შექმნასა და მის საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმისას? იქნებ ამის მიზეზი ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან ზემოქმედების საშიშროებაა? არა მგონია. არა მგონია იმიტომ, რომ ღრმად მწამს, დღეს აღარავის მოერიდება ნებისმიერ საკითხზე თავისი აზრის თავისუფლად გამოხატვა, მით უმეტეს, რომ სახალხო ფრონტის შესაქმნელ საინიციატივო ჯგუფში არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლებიც შედიან და მისი შექმნის მიზანი ერთია — ხვალინდელი დღისათვის საუკეთესო „რეცეპტის" განსაზღვრა.

მე მწამს, რომ რესპუბლიკის ყველა ხელოვანი თუ მწერალი, არაფორმალური გაერთიანების წევრი, სტუდენტი თუ გლეხი, პარტიული თუ კომკავშირული მუშაკი, ერთი მშობლის — საქართველოს შვილები ვართ. მწამს, რომ მალე მოვეგებით გონს, გვერდზე გადავდებთ პირად ამბიციებს, გავერთიანდებით ერთადერთი საღი აზრის ძიებაში და ამ დღეებში გამოვლენილ ზღვა ენერგიას მოვახმართ ჩვენთვის უძვირფასესს — საქართველოს სასიკეთო მომავალს.

**ზურამ ხაღარაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.**

IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები

# პრობლემები წინ მრთსშლოვნება აღუდგება

**თუ** მახარაძეში გამართული შეჯიბრების შედეგებს ერთ მთლიანობაში წარმოვიდგენთ, საკმაოდ ოპტიმისტურ სურათს დავინახავთ: ჩვენმა მესტენდურეებმა, რომლებმაც მომავალ წელს რესპუბლიკის ღირსება უნდა დაიცვან საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე, საკმაოდ მაღალი და, რაც მთავარია, სტაბილური შედეგები აჩვენეს. მაგალითად, პირველი ექვსეულების ბოლო წევრებმა 206-206 ქულა (როგორც მრგვალ, ისევე სასანგრე სტენდზე) მოაგროვეს. ეს კარგ პერსპექტივას სახავს ძლიერი გუნდის დაკომპლექტებისათვის ორივე დისციპლინაში, მით უმეტეს, რომ ამ 12 მესტენდურეს ზურგს უკან სხვა პერსპექტიული მსროლელებიც უდგანან.

მიუხედავად ამისა, საქმის ბოლომდე მისაყვანად რომ მაინც დიდი შრომაა საჭირო, არც ამაშია დაეჭვებული ვინმე. გავიხსენოთ თუნდაც წლევანდელი ჭაბუკთა II საკავშირო თამაშები, სადაც საქართველოს მესტენდურეებმა — საერთო შეფასებით, არც ისე ურიგო გუნდმა — მხოლოდ XII ადგილი დაიკავა.

სულ მალე შეიკრიბება მწვრთნელთა საბჭო და შეიმუშავებს გეგმას, რათა გუნდი შარშანდელ შეცდომებს აარიდოს. ერთ-ერთ ასეთ კონტრზომას კი ახლავე გაგაცნობთ: შარშან ჭაბუკებს საკავშირო სპორტული კალენდრის მიხედვით ძალზე ცოტა შეჯიბრება ჰქონდათ, ვერც რესპუბლიკის ნაკრებმა იღონა რაიმე და გამოცდილების გამო ჩვენი მსროლელები შესაძლებელზე უარესად გამოვიდნენ.

წლეულს კი, თებერვლიდან დაწყებული, დაგეგმილია საკავშირო და რესპუბლიკური ტურნირების მთელი სერია, რომლებიც სპორტსმენთა გავარჯიშებისა და მათგან საუკეთესოების ამორჩევის საშუალებას მისცემს მწვრთნელებს.

ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე განცდილი მარცხი საგანგაშო კი არა, უფრო დასანანი შემთხვევაა. მთავარი ის არის, ეზრდება თუ არა რესპუბლიკის ნაკრებს მართლაც პერსპექტიული სპორტსმენები, რომლებიც ჩვენს სახელოვან მესტენდურეთა გაკვალულ ბილიკებს უნდა გაჰყვნენ.

კიდევ ვიმეორებთ, ამ კითხვაზე მახარაძეში ჩატარებული შეჯიბრება გარკვეულად დადებით ნიშანს გვაძლევს, თუმცა ჯერ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. აღსანიშნავია, რომ მახარაძეში ექვსივე საპრიზო ადგილი თბილისელმა ჭაბუკებმა დაიკავეს, მაგრამ ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს; არც მახარაძელი და ზუგდიდელი ახალგაზრდები არიან ხელწამოსაკრავნი და მათ შორის შეჯიბრების სასწორი ხან ერთ მხარეს იხრება ხოლმე, ხან მეორე მხარეს.

ადგილიდან სროლაში ყველას აჯობა სერგეი ანდრეევმა (მწვრთნელი გელა სიმონიანი), რომელმაც 213 ქულა მოაგროვა. იგი 1968 წელს არის დაბადებული. მეორე ადგილი მასზე სამი წლით უმცროსმა გიგა ქიშმარეიშვილმა მოიპოვა (209), მესამე — ანდრეევის თანატოლმა ზაზა ზანდარაშვილმა (206). ნაკრები გუნდის უეჭველ კანდიდატთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ზუგდიდელი დავით თორუა და თბილისელი გოგონა მაია გუბიევა, რომელიც წარმატებით გამოდის ჭაბუკთა შორისაც. წლეულს მან არმიელ მესტენდურეთა შორის უფროსი ასაკის მეტოქეებსაც კი აჯობა.

მრგვალ სტენდზე ძირითადი სერიების შემდეგ სამი სპორტსმენი დაწინაურდა: ლაშა ასეიშვილი (188 ქულა), ირაკლი ჯანჯღავა (187) და ლევან ლეკიშვილი (186). ფინალი კი მართლაც დიდოსტატური იყო: ასეიშვილმაც და ჯანჯღავამაც ყველა — 25-25 თეფში დაამსხვრიეს და ამგვარად, პირველი და მეორე ადგილი მოიპოვეს. ლეკიშვილი მესამე ადგილზე გავიდა (23). ლაშა ასეიშვილი 1969 წელს არის დაბადებული და მას სპორტის დამსახურებული ოსტატი ტარიელ ჟღენტი ავარჯიშებს. ზემოხსენებულმა სამეულმა მაღალი შედეგი აჩვენა გუნდურ პირველობაშიც — 425 ქულა.

მრგვალ სტენდზე კარგი მიღწევები აქვთ აგრეთვე ზუგდიდელ დემნა სოსელიას, მის თანაქალაქელ პაატა ქებურიას, მახარაძელ ალექსანდრე ერქომაიშვილს. სოსელია და ერქომაიშვილი 17-17 წლისანი არიან და მაინც პირადი შედეგები საკმაოდ მაღალი აქვთ — 192 ქულა თითოეულს. მწვრთნელებს მხედველობაში ჰყავთ სხვა რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკიც.

შეჯიბრების პოზიტიურ მხარეს განეკუთვნებოდა ის კეთილი მასპინძლობა, რომელიც გაუწიეს მონაწილეებს მახარაძის სასროლეთის ხელმძღვანელებმა (მთავარი მსაჯი ზურაბ ხომერიკი) და პანსიონატ „მოსკოვის" დირექციამ.

საერთოდ, როდესაც რაიმე ასაკობრივი გუნდის დაკომპლექტებაზე მიდგებოდა საქმე, საქართველოს მსროლელთა ნაკრებს მუდამ უჭირდა. ამ საქმეს, ცხადია, უკეთ იმ რესპუბლიკებში ართმევდნენ თავს, სადაც მესტენდურეთა გაცილებით მეტი ჯგუფები, მეტი სპორტსმენი ჰყავთ. ამჯერად კი, როგორც ხედავთ, ჩვენთან უკეთესადაა საქმე.

ბოლოს გვინდა ერთი სასიამოვნო ინფორმაცია მივაწოდოთ სასტენდო სროლის მოყვარულებს. როგორც ცნობილია, ამჟამად მუშავდება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გენერალური გეგმა (მას ქალაქის არქიტექტურული სამმართველო ასრულებს), სადაც გათვალისწინებულია სასროლეთის აგებაც. როგორც „საქსპორტპროექტის" დირექტორმა დემურ იაკობაშვილმა გვითხრა, იმ გენგეგმის სქემის დამტკიცების შემდეგ, რომელიც ამ თვეში მოხდება, ისინი უკვე დაიწყებენ ნახაზების დამუშავებას. სტენდის გეგმა დგება უცხოეთისა და საბჭოთა კავშირის ანალოგიური ბაზების პროექტების საფუძველზე და იგი საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი იქნება. მშენებლობა, ყველა პირობის მიხედვით, მომავალ წელს უნდა დაიწყოს.

და კიდევ ერთი ცნობა: ჩვენში სასტენდო სროლის განვითარებას აფერხებდა ისიც, რომ განათლების სისტემაში სპეციალიზებული სკოლა კი არა, ერთი ჯგუფიც კი არ არსებობდა. ახლა კი, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ლევან თედიაშვილის ინიციატივით, თბილისის განათლების სამმართველო ერთბაშად მსროლელთა 6 ჯგუფს ხსნის. მას სათავეში ჩაუდგება სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ იმნაიშვილი.

**გიორგი პავლიაშვილი.**

### კვარცხლბეკი

**ადგილიდან სროლა.** 1.სერგეი ანდრეევი — 213 ქულა; 2. გიგა ქიშმარეიშვილი — 209; 3. ზაზა ზანდარაშვილი (ყველა — თბილისი) — 206.

**გუნდური.** 1. თბილისი — 414; 2. მახარაძე — 389; 3. ზუგდიდი — 369.

**მრგვალი სტენდი.** 1. ლაშა ასეიშვილი — 214; 2. ირაკლი ჯანჯღავა — 212; 3. ლევან ლეკიშვილი (ყველა — თბილისი) — 209.

**გუნდური.** 1. თბილისი — 425; 2. ზუგდიდი — 400; 3. მახარაძე — 396.

# საწარმოო ტანვარჯიში ელექტროენერგიის დაზოგვის კარგი საშუალებაა

**ელექტროენერგიის** მომჭირნეობით ხარჯვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამის შესახებ ამ ბოლო დროს ბევრი იწერება, გვაფრთხილებენ ტელეეკრანიდან, ბოლოს და ბოლოს საათის ისრებიც კი გადავწიეთ ამ მიზნით.

არის კიდევ ერთი სასარგებლო საშუალება, რომელიც დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას დაზოგავს...

სპეციალისტებმა კარგად ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო საათებში საწარმოო ტანვარჯიშს. 7-10 წუთის განმავლობაში მუშა ვალდებულია შეისვენოს და გააკეთოს ჩამზიდი (ე. ი. განტვირთვის) ტანვარჯიში. თუ საამქრო ხმაურიანია, გამოირთოს სამუშაო მანქანები. უმეტეს ფაბრიკა-ქარხანაში ეს პირობა სრულდება.

მონდომებით ასრულებენ საწარმოო ტანვარჯიშს საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის თანამშრომლები. სწორედ აქ გაჩნდა აზრი ფიზორგები გამოეყენებინა საამქროში ნათურების და ლინოტიპის მანქანების „გამომრთველად". გარდა იმისა, რომ საამქროებში 7-10 წუთი სიჩუმე სუფევს, იზოგება ელექტროენერგიაც. ახლა ერთად ვიანგარიშოთ: თუ დღეში 10 წუთი ამ საქმეს დასჭირდება, კვირაში იგი 50 წუთს შეადგენს. ერთი თვის განმავლობაში კი 200 წუთს, ე. ი. 3 საათზე მეტს. ლინოტიპის საამქროში 49-მდე დანადგარი და 400-მდე მძლავრი განათების ნათურაა. გამოდის, რომ ერთი თვის განმავლობაში საწარმოო ტანვარჯიშის წყალობით დაიზოგება ელექტროენერგია, რაც სამი საათისა და 20 წუთის განმავლობაში დასჭირდება 49 მანქანას და 400 ნათურას ერთად. ეს მარტო ერთ საამქროში. თუ ამ ღონისძიებას გავატარებთ მთლიანად, ცკ-ის გამომცემლობის სხვა საამქროებში, შემდეგ ქალაქის და რესპუბლიკის სხვადასხვა ქარხნებსა და ფაბრიკებში, მივიღებთ სოლიდურ ციფრს. ამას სერიოზული დაფიქრება სჭირდება.

გამოდის, რომ საწარმოო ტანვარჯიშით ელექტროენერგიის დანაზოგიც მივიღეთ, სამუშაო დაზგებმა და ჩარხებმა დაისვენეს და, რაც მთავარია, ადამიანი განიტვირთა ხმაურისაგან, მოეხსნა დაღლილობა. დავუშვათ, საამქრომ მუშაობა დაიწყო 8 საათზე. 10 საათსა და 30 წუთზე მუშა გამოვრთეთ საქმისგან და მივეცით აქტიური დასვენების შესაძლებლობა. ამის შემდეგ ისევ გააგრძელა შრომა და მერე კი 1 საათიანმა შესვენებამაც მოუსწრო. ასეთ პირობებში წარმოუდგენელია ადამიანი გადაიტვირთოს, სამაგიეროდ შრომაც ნაყოფიერი იქნება. სამჯერ-ოთხჯერ მცირდება შეცდომა და წუნი. ლინოტიპზე ეს შეცდომები მხოლოდ დაღლილობის დროს ხდება.

ეს ყველაფერი გავაცანი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საწარმოო ტანვარჯიშისა და ფიზკულტურის მეთოდკაბინეტის კოლექტივს. აზრი მოიწონეს.

წერილის გამოქვეყნების სურვილი იმიტომ დამებადა, რომ ეგებ სხვა საწარმოების ხელმძღვანელებმაც მეტად შეუწყონ ხელი საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს, ჩაატარონ საწარმოო ტანვარჯიში.

გამოდის, რომ საწარმოო ტანვარჯიშს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს სიკეთე?

**ვ. ხვანიძე,**
**საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი.**

## მოკლედ

დაბა ორჯონიკიძის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლაში (დირექტორი გ. გურგენიძე) ჩატარდა რაიონის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1973-74 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზესიკ ნიქაბაძე (32 კგ), ნიკო ვეფხვაძე (35), მამუკა კაპანაძე (38), გიორგი ბერაძე (44), მამუკა შველიძე (47), შერმადინ კაკოიშვილი (62) და მამუკა მეიფარიანი (68).

ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ პირველობაზე.

**ბოჩა ხარატიშვილი.**
**„ლელოს" კორესპონდენტი.**

• • •

თერჯოლაში დამთავრდა რაიონის საშუალო სკოლების ფეხბურთელთა პირველობა, მასში მონაწილეობდნენ საშუალო სკოლებისა და № 87 პროფტექნიკუმის გუნდები.

ფინალში ერთმანეთს ჩხარისა და თერჯოლის № 1 სკოლის წარმომადგენლები შეხვდნენ. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 1:1, დამატებით დროში თერჯოლელებმა იმარჯვეს — 2:1.

**ვანო კუტალაძე.**

# ჭაბუკური გატაცება არ დაივიწყა

**პროფკავშირთა** სპორტსაზოგადოების კიროვაკანის საქალაქო საბჭოს სპორტული სკოლის დირექტორის, სომხეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელის ვაზგენ ბადალიანის კაბინეტი მხატვრის სახელოსნოს უფრო მოგაგონებთ... როცა მის სურათებს ათვალიერებ, გული გწყდება, რომ ამ კაცმა თავისი ცხოვრება ხელოვნებას არ მიუძღვნა. ბავშვობაში ბევრი ვარაუდობდა, რომ მისგან კარგი მხატვარი დადგებოდა, მაგრამ ჭაბუკს ჯერ კიდევ მაშინ ხიბლავდა სპორტული ორთაბრძოლის სილამაზე და მალე კრივი სამუდამოდ დამკვიდრდა მის ცხოვრებაში. ის იყო კიროვაკანის, სომხეთის, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირზე უნგრეთში... მალე მან რინგი დატოვა, რომ შემდეგ ისევ მოვლენოდა სპორტულ სარბიელს, როგორც მწვრთნელი. იმაზე, თუ როგორ გაართვა მან ამ საქმეს თავი, ისიც ლაპარაკობს, რომ მას 24 წლის ასაკში მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებისთვის რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

მის აღზრდილებს შორის არიან ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი ბაბკენ საგრადიანი, მსოფლიო და ევროპის ახალგაზრდული პირველობის პრიზიორები სურენ ოგანიანი და ლერნიკ პაპიანი.

ახლა 34 წლის ვაზგენ ბადალიანი კვლავ ფუნჯს მიუბრუნდა.

—მინდა სპორტსმენების პორტრეტების ხატვას მივყო ხელი, — განაცხადა მან. — ვაჩვენო მათი ხასიათი, შეუპოვრობა, რომლის გარეშეც გამარჯვება შეუძლებელია.

**ა. ხაჩატურიანი.**
**საკდესის კორესპონდენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფეხბურთის „შავი სია“

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე შეაჯამეს უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელთა დისციპლინის მდგომარეობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე ჯერ კიდევ ვერ დამყარდა სათანადო წესრიგი როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა ფეხბურთელებს ხშირად აფრთხილებენ და მინდვრიდანაც აძევებენ. მაგალითად, მინსკის დინამოელმა ს. ღერკაჩმა უცხოეთის გუნდებთან შეხვედრებში 3 გაფრთხილება დაიმსახურა, მისი თანაგუნდელი ა. შალიმო კი ორჯერ გააძევეს მინდვრიდან. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მოთამაშემ ა. ჩერედნიკმა საკავშირო შეჯიბრებებში ოთხჯერ დაიმსახურა ყვითელი ბარათი, ხოლო საერთაშორისო მატჩებში 5 გაფრთხილება მიიღო.

განვლილი სეზონის შედეგებით გამოირკვა, რომ საკავშირო ჩემპიონატის, სსრ კავშირის თასისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩებში ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითად შემადგენლობათა ფეხბურთელებმა 350 გაფრთხილება დაიმსახურეს. თუ ამას შევადარებთ შარშანდელ მაჩვენებელს (238), ცხადია, რომ უდისციპლინობა ჩვენს ფეხბურთში ყოვლად დაუშვებელი ტემპებით მატულობს.

**სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი ვ. გუცაევი. მან აღნიშნა, რომ ფეხბურთელთა უდისციპლინობას და თავგასულობას ხშირად ხელს უწყობს თვით ოსტატთა გუნდების ხელმძღვანელთა ლიბერალიზმი, ამგვარი მეურვეობა კი მართებული არ არის. თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ საკავშირო ჩემპიონატის მატჩში მინდორზე კონფლიქტი მოხდა ტორპედოელ ს. პრიგოდასა და დინამოელ გ. გურულს შორის. მათ შორის გაიმართა მუშტი-კრივი, ინციდენტში ჩაერივნენ ტორპედოელი ა. პოლუკაროვი და დინამოელი გ. კეტაშვილი, საბოლოოდ მსაჯი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა გ. გურული და ა. პოლუკაროვი. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კრებამ იმსჯელა ამ საკითხზე, გ. გურულს დისკვალიფიკაცია გამოუტანა 5 თამაშით, ხოლო გ. კეტაშვილს — 2 თამაშით.**

სპორტტექნიკურმა კომისიამ ვიდეოჩანაწერის მეშვეობით განიხილა ამ მატჩში მომხდარი დარღვევები. გ. გურულს დამატებით პირობითი დისკვალიფიკაცია გამოუტანეს 1989 წლის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულამდე, ხოლო გ. კეტაშვილის დისკვალიფიკაცია გაიზარდა 3 მატჩამდე. ამ საკითხის განხილვისას ისიც აღინიშნა, რომ გ. კეტაშვილი განვლილ სეზონში სამჯერ გააფრთხილეს საკავშირო შეჯიბრებებში და ორჯერ — საერთაშორისო მატჩებში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდების 184 ფეხბურთელი რამდენჯერმე იყო გაფრთხილებული. ბაქოელი ნ. აზიმოვი, ერევნელი ა. სარქისიანი, მოსკოვის დინამოელი ი. სკლიაროვი და ლენინგრადელი გ. ტიმოფეევი ხუთ-ხუთჯერ გააფრთხილეს, ხარკოველმა ო. დერევინსკიმ, დონეცკელმა ი. ლეონოვმა და მოსკოვის ლოკომოტიველმა ა. სოლოვცევმა ექვს-ექვსჯერ დაიმსახურეს ყვითელი ბარათი. ამ მიმართებით უდავო „რეკორდი“ ეკუთვნის კიევის „დინამოს“ ფეხბურთელ ო. კუზნეცოვს, რომელსაც 1988 წელს შვიდჯერ აჩვენეს ყვითელი ბარათი.

სავანგებოდ ილაპარაკეს ო. კუზნეცოვის შესახებ. კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობა არაერთხელ გააფრთხილეს ამ ფეხბურთელის ყოვლად მოუთმენელ უდისციპლინობაზე, მაგრამ კიევის „დინამოს“ მეთაურებმა საჭირო ზომებს არ მიმართეს და ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა სწორედ იმ მატჩებში, სადაც ო. კუზნეცოვი უწესობით გამოირჩეოდა, მწვრთნელებმა მას შეფასება „5“ დაუწერეს.

სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე გამოთქვეს საყვედური მოსკოვის „ტორპედოს“ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უპატივცემლოდ ეპყრობიან მსაჯებს. თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩის შემდეგ ვ. ჟუკმა მატჩის ოქმში აღნიშნა: „მოსკოვის „ტორპედოს“ წარმომადგენლები პირველ ტაიმში არაერთგზის გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მსაჯთა გადაწყვეტილებებზე, დგებოდნენ თავიანთი ადგილებიდან, გამორბოდნენ სათამაშო მინდვრისკენ და ყოვლად დაუშვებელი უცენზურო სიტყვებით ლანძღავდნენ მსაჯებს“.

მკაცრად გაკიცხეს ვილნიუსის „ჟალგირისის“ მთავარი მწვრთნელი ბ. ზელკიავიჩუსი, რომელიც უკმაყოფილო იყო ვ. ლისენკოს მსაჯობით თბილისის „დინამოსთან“ მატჩში. მან დემონსტრაციულად დაარღვია საყოველთაოდ დადგენილი წესი და ხელი არ მოაწერა მატჩის ოფიციალურ ოქმს.

გამოითქვა აზრი, რომ სსრკ ახალმა საფეხბურთო კავშირმა შემდგომში საგანგებო ყურადღება უნდა მიაპყროს დისციპლინის საკითხს, უნდა გამკაცრდეს წესრიგის დამრღვევთა მიმართ გამოტანილი სანქციები.

სპორტტექნიკურმა კომისიამ დაამტკიცა უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითად შემადგენლობებში მომხდარი დარღვევების საჯარიმო ნუსხა. ცხრილში პირველ სვეტში აღნიშნულია გაძევებათა რაოდენობა, მეორე სვეტში — გაფრთხილებები და ბოლო სვეტში — საჯარიმო ქულების რაოდენობა.

| | გაძ. | გაფ. | ს.ქ. |
|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 0 | 15 | 15 |
| „დინამო“ კ. | 0 | 16 | 16 |
| „ჩერნომორეცი“ | 0 | 19 | 19 |
| „ჟალგირისი“ | 0 | 20 | 20 |
| „შახტიორი“ | 0 | 20 | 20 |
| „ტორპედო“ | 1 | 16 | 21 |
| „დნეპრი“ | 0 | 22 | 22 |
| „სპარტაკი“ | 1 | 18 | 28 |
| „მეტალისტი“ | ·0 | 23 | 23 |
| „დინამო“ მნ. | 0 | 26 | 26 |
| „არარატი“ | 1 | 22 | 27 |
| „ზენიტი“ | 0 | 28 | 28 |
| „ნეფთჩი“ | 1 | 23 | 28 |
| „ლოკომოტივი“ | 0 | 34 | 34 |
| „დინამო“ თბ. | 3 | 24 | 39 |
| „კაირატი“ | 3 | 24 | 39 |

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრებში ჩასატარებელი იყო 5 მატჩი. სამ მატჩში მასპინძლებს ჩაეთვალათ გამარჯვება, რადგანაც სტუმრები არ გამოცხადდნენ შეხვედრებზე: მოსკოვში „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ არ ჩავიდა ბაქოს „ნეფთჩი“, ბაქოში არ ჩავიდა „ლოკომოტივიც“. დონეცკში „შახტიორთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ვილნიუსის „ჟალგირისი“. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გუნდებს გამოუცხადებლობისთვის წაგება ჩაუთვალა ანგარიშით 0:3. ორ გამოტოვებულ შეხვედრაში „არარატი“ — „ნეფთჩი“, „ნეფთჩი“ — „არარატი“ გამარჯვება ანგარიშით 3:0 მიეკუთვნათ სტუმრებს, ვინაიდან მასპინძლებმა ვერ შესძლეს ამ შეხვედრების ჩატარება.

ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზეა ო. კუქლევი — 13 გოლი („სპარტაკი“), მეორე ადგილზე—ო. ტარანი („დნეპრი“) — 11 გოლი, ი. ტიშკოვმა („ტორპედო“), გ. შიუკგდამ („ჟალგირისი“) და ს. იურანმა („დინამო“, კიევი) 10-10 ბურთი გაიტანეს.

ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მეორე წრის მატჩში ვილნიუსელთა რიგებში ითამაშა დისკვალიფიცირებულმა მოთამაშემ. ასევე მეორე წრის მატჩში „კაირატი“ — „არარატი“ ალმაათელთა რიგებში ასევე დისკვალიფიცირებული მოთამაშე იყო მოედანზე. ვილნიუსელებსა და ალმაათელებს ამ შეხვედრებში წაგებები ჩაეთვალათ.

დუბლიორთა შემადგენლობანი

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 30 | 18 | 8 | 4 | 45-20 | 44 |
| „დინამო“ კ. | 30 | 17 | 6 | 7 | 49-32 | 40 |
| „სპარტაკი“ | 30 | 15 | 9 | 6 | 57-41 | 39 |
| „ტორპედო“ | 30 | 16 | 5 | 9 | 42-33 | 37 |
| „დნეპრი“ | 30 | 15 | 6 | 9 | 46-36 | 36 |
| „ჟალგირ.“ | 30 | 13 | 9 | 8 | 41-22 | 35 |
| „დინ.“ თბ. | 30 | 11 | 10 | 9 | 39-38 | 32 |
| „ზენიტი“ | 30 | 12 | 5 | 13 | 34-40 | 29 |
| „მეტალის.“ | 30 | 11 | 7 | 12 | 44-37 | 29 |
| „ლოკომოტ.“ | 30 | 11 | 6 | 13 | 37-40 | 28 |
| „ჩერნომ.“ | 30 | 10 | 7 | 13 | 32-39 | 27 |
| „არარატი“ | 30 | 10 | 5 | 15 | 42-51 | 25 |
| „შახტ.“ | 30 | 10 | 5 | 15 | 42-50 | 25 |
| „დინ.“ მნ. | 30 | 6 | 7 | 17 | 34-52 | 19 |
| „ნეფთჩი“ | 30 | 5 | 8 | 17 | 20-45 | 18 |
| „კაირატი“ | 30 | 6 | 5 | 19 | 29-57 | 17 |

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა, 41-ე ტურის შეხვედრები.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 5:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: რომელაშვილი, ა. ჯიოევი-2, გ. ხუბეჯიშვილი-2 („სპარტაკი“), ფანჩულიძე-2 („საპოვნელა“).

**„ივერია“ (ხაშური) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი ვ. კლიშჩენკო (თბილისი).** გოლი: ნოზაძე („ივერია“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: ელოევი, მექვაბიშვილი („დურუჯი“), ყიფშიძე, ბად. უგულავა („მადნეული“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: სიუკაევი, ხვედელიძე, შარაბიძე-2 („მეტალურგი“), ფიფია, კვირტია („სქური“).

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: ფორჩხიძე, გოთიაშვილი, ნატროშვილი („მეშახტე“), ხელაია, მურვანიძე („სალხინო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ნ. რუსიშვილი („მეშახტე“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:1. მსაჯი ხ. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ყაჩლავაშვილი, სოლოღაშვილი, იორამაშვილი („არმაზი“), ჯეჯელავა („ეგრისი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს რ. იოსელიანი, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — ჯ. ყურაშვილი. უცენზურო სიტყვებისთვის მინდვრიდან გააძევეს ჯ. ყურაშვილი (სამივე — „ეგრისი“). ასევე უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ნ. დოლაშვილი („არმაზი“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დინამო“ (გაგრა) 1:2. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).** გოლები: მარღიშვილი („ქართლი“), სიჭინავა, კვარაცხელია („დინამო“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).** გოლები: თიგიშვილი, ორმოცაძე, მექვაბიშვილი („ბახტრიონი“), ქომეთიანი, ვ. თუთბერიძე.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლი: მ. ლაცაბიძე (ფიზკ. ინსტ.).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0. მსაჯი ნ. ბიძინაშვილი (თბილისი).** გოლები: კუხიანიძე-2, სუხიაშვილი („შადრევანი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: ბჟანია, აფენდოპულო-2 („ამირანი“), კავთელაძე („მაღაროელი“).

### მსაჯთა რეესტრი

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). **თ. სოფრომაძე, ვ. კლიშჩენკო, რ. ნოზაძე** (თბილისი). „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **მ. ჭელიძე, ე. სილაგავა, ლ. მგელაძე** (თბილისი). „დინამო“ (ზუგდიდი) — „ივერია“ (ხაშური). **ი. შალამბერიძე, ლ. ჩიტაია, გ. ხეჩუაშვილი** (თბილისი). „მადნეული“ (ბოლნისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **ზ. დარჩია, თ. საყარელაშვილი** (თბილისი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი). „სქური“ (წალენჯიხა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **ვ. ეჯიბია, ზ. ლაცაბიძე, ვ. ხეჩოიანი** (თბილისი). „შადრევანი“ (წყალტუბო) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). **ა. შილაკაძე, ი. კანდელაკი, დ. გაგნიძე** (თბილისი). „დინამო“ (გაგრა) — „არმაზი“ (მცხეთა). **მ. კობიაშვილი, ტ. ნიშნიანიძე, დ. მენთეშაშვილი** (თბილისი). „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეშახტე“ (ტყიბული). **რ. ვერულაშვილი, ო. გუნთაძე, ნ. კილაძე** (თბილისი). „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). **ს. კვარაცხელია, გ. კალანდია, რ. წურწუმია** (ზუგდიდი). ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი). **ჯ. წერეთელი, გ. შავგულიძე, გ. გელავა** (რუსთავი). „კოლხეთი“ (ხობი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი). **ვ. მიმინოშვილი, ე. სილაგავა, მ. ჭელიძე** (თბილისი).

### გათამაშების ცხრილები

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 8 დეკემბრისთვის

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ | 41 | 27 | 9 | 5 | 97-52 | 63 |
| „სულორი“ | 41 | 25 | 7 | 9 | 73-45 | 57 |
| „დინამო“ ზ. | 41 | 22 | 10 | 9 | 97-59 | 54 |
| „ამირანი“ | 41 | 19 | 8 | 14 | 71-55 | 46 |
| „შადრევანი“ | 41 | 17 | 8 | 16 | 64-60 | 42 |
| „დინამო“ გ. | 41 | 18 | 5 | 18 | 49-53 | 41 |
| „მადნეული“ | 41 | 15 | 11 | 15 | 34-72 | 41 |
| „სპარტაკი“ | 41 | 15 | 11 | 15 | 73-62 | 41 |
| „სამეგრ.“ | 41 | 20 | 2 | 20 | 74-77 | 40 |
| „მეტალურ.“ | 41 | 16 | 8 | 17 | 74-72 | 40 |
| „საპოვნ.“ | 41 | 16 | 8 | 17 | 62-61 | 40 |
| „ივერია“ | 41 | 15 | 9 | 17 | 49-62 | 39 |
| „დურუჯი“ | 41 | 13 | 13 | 15 | 50-55 | 39 |
| „მაღარ.“ | 41 | 16 | 6 | 19 | 68-72 | 38 |
| „სქური“ | 41 | 15 | 7 | 19 | 67-68 | 37 |
| „ბახტრ.“ | 41 | 15 | 7 | 19 | 57-69 | 37 |
| „არმაზი“ | 41 | 13 | 11 | 17 | 55-65 | 37 |
| ფიზკ. ინს. | 41 | 13 | 11 | 17 | 69-85 | 37 |
| „მეშახტე“ | 41 | 13 | 10 | 18 | 45-63 | 36 |
| „სალხინო“ | 41 | 14 | 7 | 20 | 59-74 | 35 |
| „ეგრისი“ | 41 | 14 | 6 | 21 | 55-78 | 34 |
| „ქართლი“ | 41 | 10 | 8 | 23 | 49-82 | 28 |

#### II ჯგუფი

საბოლოო ცხრილი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არაგვი“ | 34 | 26 | 5 | 3 | 86-34 | 57 |
| „კახეთი“ | 34 | 22 | 7 | 5 | 77-53 | 51 |
| „თორი“ | 34 | 19 | 8 | 7 | 48-34 | 46 |
| „სსი-მუხრ.“ | 34 | 17 | 10 | 7 | 73-39 | 44 |
| „მეტალის.“ | 34 | 19 | 3 | 12 | 81-39 | 41 |
| „ვარძია“ | 34 | 12 | 13 | 9 | 49-53 | 37 |
| „იმედი“ | 34 | 14 | 8 | 12 | 59-53 | 36 |
| „სპი-დინამო-3“ თბილისი | 34 | 14 | 7 | 13 | 66-54 | 35 |
| „სამგორი“ | 34 | 14 | 3 | 17 | 55-58 | 31 |
| „მეფრინ.“ | 34 | 13 | 5 | 16 | 49-52 | 31 |
| „მესხეთი“ | 34 | 13 | 5 | 16 | 52-73 | 31 |
| „ალგეთი“ | 34 | 12 | 7 | 15 | 45-56 | 31 |
| „ჰერეთი“ | 34 | 12 | 6 | 16 | 59-58 | 30 |
| „აბული“ | 34 | 9 | 9 | 16 | 47-80 | 27 |
| „ფოსტამტი“ | 34 | 9 | 7 | 18 | 64-74 | 25 |
| „თრიალეთი“ | 34 | 9 | 7 | 18 | 42-75 | 25 |
| უნივერ. თბ. | 34 | 8 | 4 | 22 | 44-74 | 20 |
| „ახ. საფ. სკ.“ თბილისი | 34 | 5 | 4 | 25 | 42-79 | 14 |

დასავლეთი ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური“ | 30 | 25 | 3 | 2 | 83-29 | 53 |
| „ნარინჯი“ | 30 | 25 | 2 | 3 | 83-31 | 52 |
| „საირმე“ | 30 | 19 | 5 | 6 | 63-32 | 43 |
| „იმერეთი“ | 30 | 13 | 5 | 12 | 46-41 | 31 |
| „დვაბზუ“ | 30 | 13 | 3 | 14 | 52-56 | 29 |
| „დარჩელი“ | 30 | 10 | 9 | 11 | 43-50 | 29 |
| „ოდიში“ | 30 | 12 | 3 | 15 | 62-62 | 27 |
| პოლ. ინს. ქ. | 30 | 11 | 5 | 14 | 43-42 | 27 |
| „ჩიბათი“ | 30 | 12 | 2 | 16 | 57-61 | 26 |
| „ბახმარო“ | 30 | 10 | 5 | 15 | 44-57 | 25 |
| „ჩხერიმელა“ | 30 | 9 | 7 | 14 | 39-70 | 25 |
| „ჩიხურა“ | 30 | 10 | 4 | 16 | 54-64 | 24 |
| „კოლხეთი-2“ | 30 | 9 | 6 | 15 | 52-54 | 24 |
| „მამისონი“ | 30 | 9 | 6 | 15 | 42-52 | 24 |
| ხდკ სამტრ. | 30 | 9 | 4 | 17 | 43-73 | 22 |
| „ქიმიკოსი“ | 30 | 7 | 5 | 18 | 44-76 | 19 |

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი“ | 26 | 18 | 5 | 3 | 67-26 | 41 |
| „ვარდისუბ.“ | 26 | 17 | 3 | 6 | 41-21 | 37 |
| „გარისი“ | 26 | 15 | 6 | 5 | 53-29 | 36 |
| „მიონი-35“ | 26 | 16 | 3 | 7 | 47-34 | 35 |
| „თუშეთი“ | 26 | 14 | 4 | 8 | 47-28 | 32 |
| „ნაფარეული“ | 26 | 11 | 6 | 9 | 37-29 | 28 |
| „კოლმეურ.“ | 26 | 11 | 6 | 9 | 47-40 | 28 |
| „გარეჯი“ | 26 | 9 | 7 | 10 | 42-44 | 25 |
| „მარაბდა“ | 26 | 11 | 2 | 13 | 33-38 | 24 |
| „შირაქი“ | 26 | 8 | 7 | 11 | 24-32 | 23 |
| „განთიადი“ | 26 | 9 | 3 | 14 | 24-45 | 21 |
| „სინ.-სპორტ. ინტერნატი“ | 26 | 5 | 4 | 17 | 30-51 | 14 |
| „ქიზიყი“ | 26 | 4 | 2 | 20 | 26-85 | 10 |
| სპი თბ. | 26 | 3 | 4 | 19 | 23-39 | 10 |

#### III ჯგუფი

დასავლეთი ქვეჯგუფი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სუბტროპ.“ | 24 | 15 | 5 | 4 | 64-31 | 35 |
| „მელქედ.“ | 24 | 17 | 1 | 6 | 60-34 | 35 |
| უნივერსიტ. | 24 | 12 | 4 | 8 | 48-38 | 28 |
| „შახტიორი“ | 24 | 10 | 8 | 6 | 39-36 | 28 |
| „სპარტაკი“ | 24 | 11 | 5 | 8 | 27-28 | 27 |
| „კოლხიდა“ | 24 | 9 | 7 | 8 | 51-39 | 25 |
| „ბეთლემი“ | 24 | 9 | 7 | 8 | 36-34 | 25 |
| „კახაბერი“ | 24 | 9 | 7 | 8 | 31-31 | 25 |
| „განთიადი“ | 24 | 9 | 6 | 9 | 35-52 | 24 |
| „ახალსოფ.“ | 24 | 8 | 4 | 12 | 34-43 | 20 |
| „ალიონი“ | 24 | 7 | 5 | 12 | 39-56 | 19 |
| „ზანა“ | 24 | 3 | 5 | 16 | 36-53 | 11 |
| „ავტომობილ“ | 24 | 2 | 3 | 19 | 19-44 | 7 |

მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ქვეჯგუფში პირველი ადგილი 57 ქულით დუშეთის „არაგვმა“ დაიკავა, ხოლო დასავლეთ ქვეჯგუფში 53 ქულა დააგროვა გალის „მზიურმა“. დებულების შესაბამისად მომავალი წლიდან ორივე კოლექტივი რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში იასპარეზებს.

მესამე ჯგუფის დასავლეთ ქვეჯგუფში სოხუმის „სუბტროპიკმა“ და მახარაძის „მელქედურმა“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. დამატებით მატჩში (რომელიც ქ. ცხაკაიაში გაიმართა) გაიმარჯვეს სოხუმელებმა — 3:0. მომავალი წლიდან „სუბტროპიკი“ მეორე ჯგუფში იასპარეზებს.

### მკითხველი — გაზეთი

**„განმეორებით გთხოვთ გვაცნობოთ ოფიციალურად როდის გაიხსნა ერევნის „რაზდანის“ სტადიონი და რომელი გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს პირველად?“ ასეთი შეკითხვით მოგვმართა გორის რაიონის სოფ. ფლავის მცხოვრებმა ვასილ ეცადაშვილმა. შემდგომში იგი გვწერს, რომ ამ საკითხზე ჩვენთან ადრე გამოუგზავნია წერილი, პასუხიც მიუღია, მაგრამ ზოგიერთი სხვა წყარო, კერძოდ, საფეხბურთო ცნობარები და წიგნები იტყობინებიან, თითქოს ერევნის „რაზდანის“ გახსნა მოხდა ადგილობრივი „არარატისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრისას, მას კი სურს სიმართლის დადგენა.**

ამ საკითხზე „ლელომ“ რამდენიმეჯერ გამოაქვეყნა პასუხი, მაგრამ დრო გადის და პერიოდულად მაინც მოგვდის ფეხბურთის მოყვარულთა ამგვარი შეკითხვები. მათ კვლავ აინტერესებთ როდის გაიხსნა „რაზდანის“ სტადიონი ერევანში, ვინ თამაშობდა გახსნის დღეს, რა შედეგით დამთავრდა მატჩი და ვისთან განიცადა ახალ სტადიონზე პირველი მარცხი „არარატმა“.

რახან ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი ამ საკითხზე დღემდე არ განელებულა, რახან ისინი კვლავ და კვლავ მოგვმართავენ შეკითხვებით, გულშემატკივრებს ხელახლა ვპასუხობთ, ჩვენს პასუხში მოყვანილი მონაცემები ზუსტად შეესაბამება ფაქტებს.

ერევნის „რაზდანის“ სტადიონი 1971 წლის 19 მაისს გაიხსნა. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „არარატი“ (ერევანი) — „კაირატი“ (ალმა-ათა). ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ერევნელებმა, ბურთები გაიტანეს კოვალენკომ, ზანაზანიანმა და ლაზარიანმა.

პირველი მარცხი „არარატმა“ თავის ახალ სტადიონზე თბილისის „დინამოსთან“ მატჩში იწვნია იმავე წლის 14 სექტემბერს. ანგარიში იყო 0:1, ეს ერთადერთი ბურთი მანუჩარ მაჩაიძემ გაიტანა მე-7 წუთზე.

# გიორგი თენაძე

(დასასრული)

ასპარეზობას, ფაქტიურად, სტარტზევე გამოეთიშა. სახეირო ვერაფერი აჩვენა ვერც სერგეი გორიჩევმა. იგი თენაძეზეც და შკარინზეც აშკარად სუსტი იყო. თენაძემ კი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკმაოდ ავტორიტეტული ტურნირი მოიგო და ერთბაშად დაწინაურდა.

**⊙ ეს მისი ბოლო გამოცდა იყო?**

— არა. ნაკრებმა გუნდმა, საბოლოო სახე, თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ მიიღო. აქ თენაძემ მართლაც ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. ფაქტიურად ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და იმ ერთადერთ საგზურს დაეუფლა, რომელიც სეულში გამგზავრების უფლებას იძლეოდა.

**⊙ დღეს უკვე თამამად შეგვიძლია საუბარი იმის შესახებ, რომ მწვრთნელთა არჩევანი სწორი გამოდგა. მაშინ კი, როცა არჩევანი კეთდებოდა, ალბათ, ჯერ კიდევ ბევრი რამ ბუნდოვანი იყო.**

— ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში მთავარი არჩევანის მიღებაა. თორემ თენაძეს მართლაც ჰქონდა გარკვეული უპირატესობა. იგი თავის კონკურენტებზე არანაკლებ გამოცდილია, ბუნებით უშიშარი კაცი გახლავთ, უყვარს რისკი, მაგრამ ზომიერების გრძნობას იშვიათად ჰკარგავს. მის მთავარ ღირსებად კი, მაინც, ნებისმიერი საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება მიმაჩნია. არასდროს არ კარგავს წონასწორობას, არ აჩქარდება, საეჭვო გადაწყვეტილებებს არ იღებს. ერთი სიტყვით, ნამდვილი სატურნირო მებრძოლია, რომელმაც თავისი ფასიც კარგად იცის, მაგრამ ზომაზე მეტად არც მეტოქის შეფასებაში აჩქარდება.

**⊙ ძიუდოში წილისყრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე კლასიკურ ან თავისუფალ ჭიდაობაში. აქ ერთი მარცხიც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს, იმ დროს, როცა, ვთქვათ, თავისუფალ ჭიდაობაში წარუმატებელი სტარტის შემდეგაც შეიძლება უმაღლეს ჯილდოს დაეუფლო. როგორი იყო წილისყრა თენაძისთვის?**

— მის შედეგს, რა თქმა უნდა, სახარბიელოს ვერ ვუწოდებთ. განსაჯეთ თავად: მეორე ჯგუფში, სადაც თენაძე მოხვდა გამოდიოდნენ იაპონელი ტოსიხიკო კოგა, ფრანგი მარკ ალექსანდრი, უნგრელი ბერტალან ჰაიტოში, ესპანელი ხოაკინ რუისი, სამხრეთკორეელი პაკ ჩუნ ხი, იტალიელი ენცო გამბა. ისინი გამოცდილი და ტიტულოვანი ძიუდოისტები არიან, რომელთაგან ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი. ამ ექვსეულიდან თენაძეს სამთან მოუხდა ბრძოლა. ფრანგი მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, უნგრელი მეხუთე ადგილზე გავიდა, იაპონელი კი, მოგეხსენებათ, იაპონელია და მაშასადამე, მუდამ საშიში მეტოქე.

**⊙ როგორც ვიცით, სასტარტო შეხვედრებში ჩვენს თანამემამულეს პრობლემები არ ჰქონია.**

— თენაძე, როგორც წესი, წონას იკლებს, თანაც არც ისე ცოტას — 4-5 კილოგრამს. ამის მიუხედავად პირველ ორ ბრძოლაში, ფაქტიურად, ოფლიც არ გამოსვლია ისე დაამარცხა სალვადორელი ფრედი ტორესი და ნეპალელი განგაბახადურ დანგოლი.

**⊙ როგორ წარიმართა ბრძოლა იაპონელთან?**

— ზემოთაც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, ნებისმიერი იაპონელი ძიუდოისტი, გნებავთ ტიტულოვანი, გნებავთ ახალბედა უაღრესად საშიში მეტოქეა. ამიტომ ტოსიხიკო კოგასთან შეხვედრის წინ თენაძე ტოტიკაშვილს დავაჭიდეთ. ამ საკონტროლო შეხვედრას ორივესთვის ჰქონდა მნიშვნელობა. კოგას წინააღმდეგ ქართველი მოჭიდავე მომზადებული გამოვიდა, მაგრამ ბრძოლა მაინც უაღრესად მძაფრი და ძნელი იყო. თენაძემ მეტოქეს იუკო აართვა და ამით წარმატების ყველა შანსი გადაუწურა.

**⊙ მარკ ალექსანდრთან შეხვედრამდე, თუ არ ვცდებით, მან ერთი ბრძოლაც ჩაატარა.**

— დიახ, ეს იყო თავისებური მოთელვა მთავარ ფავორიტთან შეხვედრის წინ. ავსტრალიელი სტიუარტ ბრეინი წმინდად დაამარცხა. ალექსანდრმა, როგორც იცით, თენაძესთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვა. მისი უპირატესობა ერთადერთი კოკათი გამოიხატა. სხვა მხრივ ძალები თანაბარი გახლდათ, მაგრამ ალექსანდრი უფრო გამოცდილი, ტაქტიკურად გამობრძმედილი მეტოქეა და ამ უმნიშვნელო უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება შეძლო. ჩემის აზრით, ოქროს მედლის ბედი სწორედ ამ შეხვედრაში გადაწყდა.

**⊙ საინტერესოა თენაძე სხვა, უფრო ხელსაყრელ პირობებში, თუ შეძლებდა ფრანგი მოჭიდავის დამარცხებას?**

— ძნელი სათქმელია, თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ საპასუხისმგებლო ბრძოლის წინ ძალების მობილიზაციისთვის მას მხოლოდ ხუთი წუთი ჰქონდა. ბრეინთან გამარჯვების შემდეგ მაშინვე საჭიდაოდ მოუხმეს.

**⊙ მესამე ადგილი თენაძემ, ფაქტიურად, უბრძოლველად მოიპოვა. არა და მისი მეტოქე ევროპის ექსჩემპიონი, უნგრელი ბერტალან ჰაიტოში გახლდათ. აქ რაღა მოხდა?**

— უბრძოლველადო, ალბათ იმიტომ ამბობთ, რომ ტელევიზიით ნახეთ ამ შეხვედრის სწორედ ის ფრაგმენტი, როცა ქართველი მოჭიდავე მეტოქეს წმინდად ამარცხებს. მანამდე კი... ორივე მხარე თავდაუზოგავად ჭიდაობდა. ექსჩემპიონმა ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ ოლიმპიურ ბრინჯაოს ჯილდოს დაჰპატრონებოდა. მაგრამ ფსიქოლოგიური უპირატესობა მაინც ქართველი ფალავნის მხარეს იყო. მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთან მარცხის შემდეგ იგი უფრო თავისუფლად ჭიდაობდა და მიზანს მეტოქეზე ადრე მიაღწია. ერთადერთი შეცდომა დაუშვა უნგრელმა ამ ბრძოლაში და თენაძემ იგი ნამდვილი დიდოსტატური გულგრილობით გამოიყენა.

**⊙ ბოლო ბრძოლით და, საერთოდ, შედეგით ალბათ თვითონაც კმაყოფილი დარჩა.**

— სეულში, თუნდაც ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება ბევრი დელეგაციისთვის სანატრელი ოცნება იყო. კოლუმბიას, საბერძნეთს, პაკისტანს და ბევრ სხვა ქვეყანას ითო ბრინჯაოს მედალი ერგოთ და ამით გულახდილად ამაყობდნენ. ჩვენ რა უფლება გვქონდა უკმაყოფილონი ვყოფილიყავით გიორგი თენაძის ასეთი წარმატებით?

**ნ. ახვლედიანი.**

# ერთდროულ ტურნირებში

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთდროულად რამდენიმე ტურნირი მიმდინარეობს.

**დედაქალაქის** ვაჟთა მე-60 ჩემპიონატზე გაიმართა II ტურის შეხვედრები.

საინტერესოდ წარიმართა თბილისის შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორის დავით პაქსაშვილისა და იური ნეჩაევის პარტია.

გათამაშდა ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი. თეთრები დებიუტშივე დაეუფლნენ ინიციატივას. პაქსაშვილმა აქტიურად განალაგა თავისი ფიგურები და მოწინააღმდეგის მეფის ფრთაზე წამოიწყო შეტევა. ნეჩაევი ერთხანს კარგად იცავდა თავს, მაგრამ ვერ შეძლო შავების მრავალმხრივი მუქარების მოგერიება და თავი დამარცხებულად სცნო.

ამ ტურის დანარჩენი პარტიების ტექნიკური შედეგები ასეთია: ხაჩიძე-ჩიქოვანი — 1:0, თანდაშვილი-დაბრუნდაშვილი — 1:0, მოვსესიანი-გოგიჩაიშვილი — 0:1, სიგუა-სხილაძე — 0,5:0,5. ლობჟანიძევაშაკიძის, მიქაელიან-ხანთაძისა და მესტვირიშვილ-ცქიტიშვილის პარტიები გადაიდო.

2 ტურის შემდეგ 2 ქულით დაწინაურდა დავით პაქსაშვილი.

**1971 წელს** და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე კი IV ტურის შეხვედრები მოეწყო.

გოგონები: ფაჩულია-ლომინეიშვილი — 0:1, ღლონტი-როჭიკაშვილი — 1:0, ეძგვერაძე-გრიგალაშვილი — 1:0, ნიკოლაძე-მოდებაძე — 1:0, კემულარია-სახოკია—0,5:0,5, ლებანიძე-ხურცილავას პარტია გადატანილია.

4 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: სოფიკო ნიკოლაძე — 3,5, მარინე ლებანიძე — 3 (1), ნატო ეძგვერაძე, მზია ლომინეიშვილი — 3-3.

**ჭაბუკები:** გოგოლაძე-კვარაცხელია — 1:0, ხაბურზანია-დგებუაძე — 1:0, იაშვილი-ტიკურიშვილი — 1:0, ყაშაშვილი-ჯანგობეგოვი — 0:1, კეკელიძე-უთმელიძე — 0,5:0,5. გადაიდო მასხარაშვილისა და პოპოვის პარტია.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: იანის პოპოვი — 3 (1), დათო ტიკურიშვილი, გია გოგოლაძე, კახა ხაბურზანია — 3-3.

**ვასილ ვაშაკიძე.**

# პირველი დანაკარგები

**როგორც** გახსოვთ, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს 26 წლამდე ასაკის ოსტატ მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებას 4 ტურის შემდეგ ორი ლიდერი ჰყავდა — ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა და კიეველი ელენა სედინა. იმ დროისთვის მათ 3,5-3,5 ქულა მოუგროვდათ და თითქოს საფრთხე არსაიდან ემუქრებოდათ. თანაც ორივემ ზედიზედ 3-3 პარტია მოიგო და, ისე ჩანდა, რომ არც აპირებდნენ პოზიციების დათმობას. მაგრამ აი, შემდეგ ტურში ჯერ ერთმა ლიდერმა წაიფორხილა, ნახევარი ქულა დაკარგა, ხოლო VI ტურში ორივემ მარცხი იწვნია — პირველი მარცხი ამ ტურნირში. დიახ, როგორც ჩანს, არც ამჯერად ირღვევა ტრადიცია — ქალები, ისიც ამ ასაკში, უაღრესად უშელავათოდ თამაშობენ.

ამასობაში კი ტურნირს უკვე სამი ლიდერი და ორი ლიდერობის „კანდიდატი" ჰყავს. ესენი არიან სედინა, ოდესელი ანჟელა ბელაკოვსკაია, ჩელიაბინსკელი ტატიანა შუმიაკინა (4,5-4,5 ქულა), ლაგვილავა და თბილისელი ნათია ჯანჯღავა (4-4). ოდესელმა მარინა იარმოლინსკაიამ 3 ქულა მოაგროვა, სამტრედიელ სოფიკო ტერელაძეს, გორელ ციალა ქასოშვილსა და ბაქოელ ფირუზა ველიხანლის 2,5-2,5 ქულა აქვთ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით სუსტად გამოდიან თეა ლანჩავა (1,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ლია სადუნიშვილი (1,5) და ნინო ხურციძე (0,5).

V და VI ტურების ტექნიკური შედეგები:

**V ტური:** სედინა — ხურციძე 1:0, ბელაკოვსკაია — სადუნიშვილი 1:0, შუმიაკინა — დომარკაიტე 0,5:0,5, უმანსკაია — ქასოშვილი 1:0, ველიხანლი — ტერელაძე 1:0, ლაგვილავა — ლანჩავა 0,5:0,5, იარმოლინსკაია — ჯანჯღავა 0:1.

**VI ტური:** ხურციძე — ჯანჯღავა 0:1, ლანჩავა — იარმოლინსკაია 0:1, ტერელაძე — ლაგვილავა 1:0, ქასოშვილი — ველიხანლი 1:0, დომარკაიტე — უმანსკაია 0,5:0,5, სადუნიშვილი — შუმიაკინა 1:0, სედინა — ბელაკოვსკაია 0:1.

# სერგეი ბალტაჩა „იფსვიჩში"

ჩვენი ცნობილი ფეხბურთელი, კიევის „დინამოს" და სსრ კავშირის ნაკრების წევრი, 30 წლის სერგეი ბალტაჩა გადავიდა ინგლისის ცნობილ პროფესიულ საფეხბურთო კლუბ „იფსვიჩში". მისი პირველადი კონტრაქტი განსაზღვრულია 6 თვით. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ს. ბალტაჩამ, „სოვინტერსპორტის" ორგანიზაციამ და „იფსვიჩის" ხელმძღვანელობამ.

6 თვის შემდეგ ორივე მხარე კვლავ განიხილავს კონტრაქტს მისი გაგრძელების შესაძლებლობის თაობაზე.

# „შტუტგარტი" — მეოთხედფინალში

დასავლეთ გერმანიის „შტუტგარტის" ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი გამართეს ჰოლანდიის „გრონინგენთან", გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 (პირველი მატჩიც მათ მოიგეს — 3:1) და ევროპის საკლუბო თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ. საპასუხო მატჩის ორივე ბურთი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1988 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა იურგენ კლინსმანმა გაიტანა.



# დეტროიტის ჩინებული სტარტი

**გაიმართა** კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატის მესამე და მეოთხე ტურის შეხვედრები. III ტური: ნიუ-იორკი — ჩიკაგო 126:117, ნიუ-ჯერსი — ვაშინგტონი 103:101, ფილადელფია — დეტროიტი 109:116, ჩარლოტე — კლიპერსი 117:105, ატლანტა — ინდიანა 112:107, ჰიუსტონი — სან-ანტონიო 120:102, დალასი — მიამი 92:88, გოლდენ შტატი — ლეიკერსი 102:114, საკრამენტო — სიეტლი 75:97, IV ტური: ბოსტონ — ჩიკაგო 104:110, ვაშინგტონი — ნიუ-იორკი 110:107, კლივლენდი — კლიპერსი 108:91, დეტროიტი — ატლანტა 101:95, მილუოკი — ფილადელფია 114:103, უტაჰი — საკრამენტო 105:81, ლეიკერსი — დენვერი 128:110, სიეტლი — გოლდენ შტატი 108:113, სან-ანტონიო — მიამი 117:93.

მეოთხე ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო „ბოსტონ სელტიქსის" მარცხი შინ „ჩიკაგო ბულსთან". სტუმრებმა შეძლეს ლარი ბერდის (18 ქულა) ნეიტრალიზება და მაიკლ ჯორდანის ჩინებული თამაშის შედეგად მოიპოვეს საპატიო გამარჯვება. ტურის ცენტრალური მატჩი კი დეტროიტში გაიმართა — „დეტროიტ პისტონზსა" და „ატლანტა ჰოუქსს" შორის. მატჩისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ ორივე გუნდმა ჩინებული სტარტი აიღო და ჩემპიონატის სამივე მატჩი მოიგო. მასპინძლებმა ისაია თომასის (21 ქულა) და ადრიან დენთლის (14) კარგი თამაშის წყალობით მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს. აქვე უნდა ითქვას, რომ „ატლანტა ჰოუქსი" წლეულს შესამჩნევადაა გაძლიერებული. ამ გუნდში გადავიდა „საკრამენტო კინგზისის" მცველი რეჯი თეუსი, ხოლო ვაშინგტონიდან ცნობილი მოთამაშე მოუზეს მელოუნი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სოლიდური შევსება წლეულს ნბა-ს არც ერთ გუნდს არ ჰქონია.

საინტერესოა ნბა-ს ჩემპიონატის შესახებ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული ბოლო მონაცემები: მილუოკი—ნიუ-ჯერსი 96:105, ჰიუსტონი — მიამი 113:107, დალას — ჩარლოტე 105:93, დენვერ — სან-ანტონიო 139:112, უტაპი — პორტლენდი 123:99, სიეტლი — ლეიკერსი 101:98, ბოსტონი — ვაშინგტონი 114:108, ნიუ-ჯერსი — კლივლენდი 94:95, ფილადელფია — ნიუ-იორკი 137:135, მიამი — გოლდენ შტატი 117:123, ჩიკაგო — ატლანტა 115:112, ფენიქს-ხანზი — დეტროიტი 105:121, ლეიკერსი — პორტლენდი 106:105, კლიპერსი — ინდიანა 113:110, ნიუ-იორკი — ფილადელფია 141:122, ვაშინგტონი — ბოსტონი 108:104, ჰიუსტონი — დეტროიტი 109:98.

პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გავუსვათ „დეტროიტ პისტონზის" მარცხს, რომლის ტრიუმფალური სვლა (რვა გამარჯვება ზედიზედ) შეაჩერა „ჰიუსტონ როკეტსმა". როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი" აღნიშნავს ჰიუსტონის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი აკიმის ბრწყინვალე თამაშმა (34 ქულა, 20-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს). რასაკვირველია, დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი ჩიკაგოში — „ჩიკაგო ბულსსა" და „ატლანტა ჰოუქსს" შორის. როგორც თამაშის ანგარიშიდან ჩანს მასპინძლებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 115:112. მოულოდნელად შეიძლება მივიჩნიოთ ნიუ ჯერსის, რომელმაც წარმატებით აიღო სტარტი ახალ სეზონში, დამარცხება საკუთარ მოედანზე კლივლენდთან. ყურადღებას იპყრობს „ბოსტონ სელტიქსის" სუსტი სტარტი. 7 მატჩი, 3 გამარჯვება, სიეტლში მარცხი იწვნია ნბა-ს ჩემპიონმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა", თუმცა ჯერ მხოლოდ ჩემპიონატის სტარტია და გადამწყვეტ მატჩებამდე ძალზე შორია.

**მერაბ კალანდაძე.**

## ინფორმაცია

**მინსკი.** სსრ კავშირის ვაჟ კალათბურთელთა ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივმა რტი-მ დამარცხება განიცადა საკუთარ მოედანზე დონეცკის „შახტიორთან" — 72:73 (45:40).

## „სპორტპროგნოზი"

**49-ე ტირაჟის შედეგები**
**(8-4 დეკემბერი)**

1—1, 2—X, 3—X, 4—X, 5—X, 6—1, 7—X, 8—2, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. მეორე წყვილის შედეგი განსაზღვრულია წილისყრით.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფეხბურთელთა ძველი თაობის წარმომადგენელი

**მიხეილ ივანეს ძე ბოლოტინი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05637